# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა.—პარასკევი, 2 ივნისი 1900 წ. № 1141

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—**6** მან., თვეში—**75** კაპ., ცალკე ნომერი—**3** კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—**10** კ. მეოთხეზე—**5** კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

**ტელეფონი № 372.**



## „მ ო ა მ ბ ე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
|---|---|
| **გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.** | **გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.** |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით | 1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით |
| 10 მანეთი 6 მან. 4 მან. | 6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ |
| სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან. | სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

| | |
|---|---|
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

**ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

| | |
|---|---|
| **ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.** | **გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ.** |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.

**თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.**

ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.**

საუკეთესოდ მოწყობილი

**სტამბა**

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა

იღებს ყოველგვარ

**სასტამბო საქმეებს**

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

კომიტეტი ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტის დამხმარებელ საზოგადოებისა, თავისის ფონდის გასამდიდრებლად, 4 ივნისს ამა წლისას მუშტაიდის ბაღში გამართავს

**სახალხო სეირნობას გაზრითურთ,**

რისთვისაც თხოვნით მიჰმართავს ყველას, ვინც კი ამ კეთილს საქმეს თანაუგრძნობს, დაეხმარნენ და თავისი წვლილი არ დაიშურონ ფულით იქნება იგი თუ ნივთების შეწირვით. შეწირულებანი კნ. ბ. გ. ბარათაშვილისას გაეგზავნება, რეუტოვის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში.

კომიტეტს სრული იმედი აქვს, რომ «საზოგადოების» კეთილის მყოფელთ, რომელთაც შემოწირულებათა შეკრება აღუთქვეს, ყოველგან თანაგრძნობით მიეგებებიან და თავისს წვლილს არავინ დაუშურს. (3—2)


# ახალი ამბავი

—

✦ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გამართულმა სეირნობამ 3,000 მანეთზე მეტი შემოსავალი მისცა ხსენებულ საზოგადოებას. ხარჯი ჯერ-ჯერობით არ არის გამოანგარიშებული, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, 1,000 მანეთს აღემატება; ასე რომ წმინდა შემოსავალი 2,000 მანეთზე ნაკლები არ დარჩება.

✦ კავკასიის სამხედრო შტაბის სამხედრო-ისტორიულ განყოფილებას მიენდო შეადგინოს **საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორია** 1901 წლისთვის, როდესაც სრულდება 100 წელიწადი შეერთების მოხდენიდან. ამის გამო ტფილისის ქალაქის საიუბილეო კომისიას გარდაუწყვეტია ისარგებლოს ამ შრომით და გამოსცეს იგი რუსულსა და ადგილობრივ ენებზე ქალაქის ხარჯით. გარდა ამისა იუბილეის დღესასწაულ დღეებში გაიმართება კითხვები, ლექციები და სხვა.

✦ გორის სამაზრო მმართველობა აცხადებს, რომ მაზრაში არის 20 **ვაკანსია სოფლის მწერლის** ადგილზე. მსურველთ სთხოვენ მიჰმართონ ხსენებულს მმართველობას.

✦ გორიდან იტყობინებიან, რომ 30 მაისს გორის მემამულეთა სინდიკატის გამგე დირექტორად, თავ. ვ. გ. მაჩაბლის მაგიერ, რომელმაც უარი სთქვა სამსახურზე, აურჩევიათ **გ. გ. მაჩაბელი.**

✦ როგორც უწყიან მკითხველებმა, კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ **სამეურნეო გამოფენის** გამართვის ნება ითხოვა, მაგრამ სამინისტროდან პასუხი მოუვიდა, რომ 1901 წელს კავკასიის სამეურნეო გამოფენის გამართვას აპირებს საბაღოსნო საზოგადოება და სამეურნეო საზოგადოებაც იმას მიემხროსო. ამ წინადადების განხილვისათვის 30 მაისს სამეურნეო საზოგადოების საბჭოს თათბირი ჰქონდა, მაგრამ ვერაფითარი გარდაწყვეტილება ვერ მიუღია.

✦ ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას გახსნას სახალხო ბიბლიოთეკა სოფ. შილდაში, თელავის მაზრაში. ამ ბიბლიოთეკის პასუხის-მგებლად ხსენებულ საზოგადოების გამგეობის მიერ დანიშნულია თავ. დავით რევაზის ძე ვახვახიშვილი.

✦ გუშინ წინ, 31 მაისს, მტკვრის ნაპირზედ პოლიციას უპოვნია მდინარიდან გამორიყული ყუთი, რომელშიაც **მოკლული კაცი** აღმოჩნდა. გვამს მოჭრილი ჰქონდა თავი და ფეხები. საზარელ მკვლელობის ჩამდენთ დაეძებენ.

✦ 31 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატას უნდა განეხილა საქმე ბარათაშვილისა, ტუსიშვილისა, ოსიტაშვილისა და ტერ-შმოვანოვისა **დავით გაბაშვილის მოკვლის** შესახებ, მაგრამ გადასდეს განხილვა შემოდგომამდე, რადგანაც თავ. ბარათაშვილის დამცველი გ. ს. ტერ-სტეფანოვი ავად არის ამ ჟამად.

✦ ტფილისის მაზრის სოფლებ მარტყოფში, ავჭალაში და ზოგიერთ სხვებშიაც საშინელს ქარს **დიდი ზარალი** მიუყენებია ხეხილებისა და ვენახებისათვის. ხსენებულ ორ სოფელში ხილის ჩვეულებრივი მოსავალი წელს განახევრდება.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობას გადაუწყვეტია დაუყოვნებლივ შეუდგეს **სადგურ ზაათურის** სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესობას.

✦ მომავალ სამოსწავლო წლიდან ტფილისის საშუალო სამოსწავლო კურსებთან არსდება **დამატებითი კურსები**, რომლებზედაც უმაღლეს სასწავლებლების ზოგიერთ საგნებს იკითხვენ მსურველთათვის.

✦ ფინანსთა სამინისტრო აარსებს რამდენიმე **სტიპენდიას** ტფილისის საკომერციო სასწავლებელში სამინისტროს მოხელეთა შვილების აღსაზრდელად.

✦ დღემდის ქალაქ ტფილისში ორი გადასახადთა ინსპექტორი იყო; ახლა, რადგანაც ქალაქში მრეწველობამ და აღებ-მიცემობამ იმატა, ინიშნება მესამე ინსპექტორი და ქალაქი იყოფა სამ საგადასახადო ნაწილად.

✦ ამას წინად ჩვენ ვაცნობეთ მკითხველთ, რომ ტფილისის პოლიცმეისტერმა განცხადება წარუდგინა ქალაქის გამგეობას **ტფილისის ცეცხლის მქრობ რაზმის გაძლიერების შესახებ.** ამ განცხადებას საბჭოს საგანგებო კომისია განიხილავს შაბათს, 3 ივნისს. კომისიის სხდომას ბ. კოვალიოვიც დაესწრება.

✦ „ტფ. ფურცელს“ ფოთიდან სწერენ, რომ კვირას, 29 მაისს, იქ, ქალაქის მე-3 ნაწილში, კუნძულზე, უპოვნიათ **გვამი** ფოთის მცხოვრების იასონ ანდღულაძისა. გასინჯვას აღმოუჩენია, რომ ანდღულაძე მოუკლავთ დანით. დატუსაღებულია რამდენიმე პირი, რომლებზედაც პოლიციამ შეიტანა ეჭვი.

✦ სატახტო გაზეთებში ვკითხულობთ: უკანასკნელ წლებში მეტად გახშირდა უმაღლეს დაწესებულებებში **თხოვნების გზავნა ტელეგრაფის შემწეობით.** ამგვარი თხოვნები განთავისუფლებულნი არიან გერბის გარდასახადიდან მაშინ, როდესაც იგივე თხოვნები ფოსტით რომ გაეგზავნათ, უთუოდ გერბის მარკები უნდა დაეკრათ მთხოვნელთ. ამ ჟამად სათანადო მთავრობას კითხვა აღუძრავს იმის შესახებ, რომ დეპეშით გაგზავნილ თხოვნასაც დაედოს საგერბო გარდასახადი.

✦ ბაქოს **საბუხჰალტერო კლა**სებშა წელს კურსი დაუმთავრებია 13 ყმაწვილს. რომელთა შორისაც **ოთხი ქართველია:** გოგუაძე, ლოლაძე, გოროსია და ცერცვაძე.

✦ შაბათს, 3 ივნისს, „ტფილისის კრუჟოკ“-ში გაიმართება **საბავშვო დღესასწაული** თამაშებით, საჩუქრებით, სიმღერა-მუსიკით და სხვა. დღესასწაული დაიწყება 1 საათზე და დასრულდება საღამოს 7-ზე. ბავშვებს გადახდებათ ბილეთში 10 კაპ., დიდებს აბაზი.

## ქართული სახალხო წარმოდგენები 1899—1900 წლის სეზონში*)

(დასასრული)

წარმოდგენებისა და კითხვების გარდა სექციამ საანგარიშო წელს გამართა ერთი მუსიკალური ლიტერატურული დილა ბავშვებისათვის და ორი მუსიკალურ-ლიტერატურული საღამო ხალხისთვის. ბავშვებისათვის გამართულს დილაში, 26 დეკემბერს, მონაწილეობა მიიღეს: ბ. ფალიაშვილის ხორომ, ბ. კრეინმა, რომელმაც სკრიპკაზე დაუკრა რამდენიმე პიესა, ბ. ურუშაძემ, რომელმაც წარმოსთქვა სცენები ხალხის ცხოვრებიდან და საკვირაო სკოლების რამდენიმე მოწაფემ, რომელთაც წარმოსთქვეს სხვა-და-სხვა ლექსები. ხალხისთვის გამართულ კონცერტებშიკი მონაწილეობა მიიღეს: თავ. აკაკი წერეთელმა, რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა მსმენელნი თავის ლექსების წაკითხვით, კნიაჟნა ვ. მ. ამირაჯიბისამ, კნეინა ს. დ. დიასამიძისამ და ნ. გ. ქართველიშვილმა, რომელთაც დაუკრეს როიალი, ბ-ნმა კრეინმა, რომელმაც დაუკრა სკრიპკა, ძმებმა კუზაკოვებმა, რომელთაც დაუკრეს გიტარა, ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისამ, რომელმაც დუდუკზე რამდენიმე ბაიათი იმღერა და ბ-ნ ფალიაშვილის ხორომ. ამგვარი გასართობები საანგარიშო წელს პირველად მიაწოდეს ხალხს და ძალიანაც მოეწონა მას. დილისა და კონცერტების მშვენივრად შესრულება იმიტომ მოხერხდა, რომ ხსენებულ პირებმა მიიღეს მონაწილეობა და ამიტომ თეატრალური სექცია უცხადებს მათ უგულითადესს მადლობას.

ყველა 17 წარმოდგენას, დილასა და კონცერტებს სულ დაესწრო 5.427 კაცი. წინა წელთან შედარებით 961 კაცით მეტი. ამ რიცხვში ჩათვლილია მხოლოდ ის მსმენელები, რომელნიც ფულს იხდიან წარმოდგენაზედ დასასწრებლად, ხოლო ყოველ წარმოდგენაზე ბევრს მუქთად უშვებდნენ; ასე რომ დარბაზი სრულიად აივსებოდა ხოლმე და ბევრი უკან ბრუნდებოდა გულ-დაწყვეტილი.

საანგარიშო სეზონში სექციის შემოსავალი იყო სულ 273 მან. 35 კაპ.; აქედან ბილეთების გაყიდვიდან შემოვიდა (ბილეთი თითო შაურია) 271 მან. 35 კაპ., 2 მანეთი კი პრემიათ. დახარჯულია კი სულ 319 მანეთი, 65 კაპ., ასე რომ სეზონში ხარჯმა გადაამეტა შემოსავალს 46 მანეთით და 30 კაპეიკით, წინა წელთან შედარებით დეფიციტი 24 მანეთით მეტია საანგარიშო წელს. გარდა იმისა წელს სექციას 7 მან. და 50 კაპ. დაუჯდა სცენის ავეჯისა და პარტერის სკამების შეკეთება; ასე რომ მთელი დეფიციტი საანგარიშო სეზონში უდრის 53 მანათს 80 კაპ. ეს დეფიციტი დაიფარა: 2) სახალხო კომისიის სუბსიდიით, რომელიც უდრიდა 30 მ. და 2) სექციის წევრებისა და ზოგიერთ გარეშე პირთა შეწირულებით, რომელიც უდრიდა—23 მან. და 80 კაპეიკს.

რათა ნათლად აღინიშნოს სექციის ხარჯი, მოვიყვანოთ აქ უდიდესი და უმცირესი ხარჯი, რომელიც იყო წლის განმავლობაში. უდიდესი ხარჯი სექციას მოუვიდა 11 აპრილს, როდესაც დადგმულ იქმნა ორი ობოლი, სახელდობრ: 1) პარიკმახერს—4 მან., 2) ტანისამოსის ქირა—4 მან., 3) დეკორაციის მოწყობა—4 მან. 50 კ., 4) რეკვიზიტი და სხვა—2 მ. 70 კ., 5) როლების გადაწერა—1 მ. 50 კ., 6) სუფლიორს—1 მან., მოსამსახურეს—1 მან.. 8) აფიშების დაბეჭვდა—1 მან. 50 კაპ., 9) პოლიციელს—50 კაპ., 10) არტისტ ქალებისთვის ფაიტონები და სხვა წვრილმანი ხარჯი—4 მან. 60 კაპ.; სულ 25 მან. 30 კაპ., უმცირესი ხარჯი კი იყო საბავშვო დილის გამართვაზე: სულ 7 მან. 75 კაპ.; შუათანა ხარჯი უდრის—16 მანეთ ნახევარზე მეტს.

დეფიციტის ასაცდენად სექცია იძულებულია მომავალ სეზონისათვისაც ითხოვოს კომისიისაგან შემწეობა.

დასასრულ ქართული თეატრალური სექცია თავის მოვალეობად რაცხს გამოუცხადოს უღრმესი მადლობა ქართულ დრამატიულ საზოგადოებას, რომელიც როგორც წინა წლებში, ისე ახლად დასრულებულ სეზონშიაც სიამოვნებით ეხმარებოდა ქართულ სახალხო წარმოდგენათა მმართველთ კოსტიუმებით, ბიბლიოთეკით და რეჟისორის დანიშვნით.

*) იხ. „ცნობის ფურც.“ № 1140.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 მაისი.

**ტაგანროგი.** სამხედრო მინისტრმა დაათვალიერა ი. ს. პოლიაკოვის მამულები და 30 მაისს წავიდა ტაგანროგიდგან.

**ხარკოვი.** დაიწყო ბაზრობა (იარმუკობა); მყიდველნი არ არიან; გამყიდველნიც ჯერ ცოტანი არიან.

**ოლდენბურგი.** დიდი ჰერცოგი გარდაიცვალა.

**მასსერუ.** ორანჟეს მდინარის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ორანჟეს რესპუბლიკაში, ბურებს უჭირავთ პოზიცია დიდს მანძილზედ, მაგრამ მაინც გარსშემორტყმულია ინგლისის ჯარებით მეტუენისა, რენდლისა და ბრაბანტის წინამძღოლობით; სულ ამ გენერლების ხელ-ქვეით 35.000 კაცია 50 ზარბაზნით.

**იოკაჰამა.** ტაკუსაკენ მიდიან იაპონიის გემები; თუ ჩინეთში საქმეთა მდგომარეობა გაუარესდა, იაპონია გაგზავნის იქ დიდ-ძალ ხმელეთის ჯარს.

**ჰონკონგი.** ტიანცზინში 600 კაცის გასაგზავნად დაქირავებულ იქნა გემი „Haitan“.

**ტიანცზინი.** ორშაბათს 200 მეამბოხემ განიზრახეს გზა მოეჭრათ ინგლისელ სადარაჯო რაზმისათვის, რომელიც შესდგებოდა 16 კაცისაგან. ევროპიელთა უმთავრესი ჯარები ამ რაზმიდან ორი მილის სიშორეზე იმყოფებოდა. ინგლისელი მატროსები მალე მიეშველნენ დარაჯთ და უკუ-აქციეს მეამბოხენი. უკანასკნელთ მოუკლეს 40 კაცი. ხოლო ინგლისელი არავინ მოუკლავთ და არც არავინ დაუჭრიათ. ევროპიელთა ჯარმა დაიპყრო ორი მეამბოხეთა სოფელი. რკინის გზის ლიანდაგი ძალიან გაფუჭებულია. ევროპიელთა საექსპედიციო ჯარი სულ შესდგება 2000 კაცისაგან, სახელდობრ: 915 ინგლისელი, 350 გერმანელი, 300 რუსი, 158 ფრანგი, 104 ამერიკელი, 51 იაპონელი, 40 იტალიელი და 25 ავსტრიელი.

**ბერლინი.** სტატს-სეკრეტარს ტირპიცს ებოძა აზნაურობის ღირსება.

**ლონდონი.** კაპშტადტიდან იუწყებიან, რომ ცნობა მერრიმანის, ზაუერის და ტევატერის სამსახურიდან გამოსვლის შესახებ არ მართლდება.

**პეკინი.** დედოფალმა ძიანდო ცუნგ-ლი-იამენის რამდენიმე წევრს გამოუცხადონ მისსიებს, რომ ჩინეთის ჯარები არ დაუშლიან ევროპიელ ჯარებს პეკინში შემოსვლას.

**კონსტანტინეპოლი.** ამბობენ, რომ ავსტრ-უნგრეთის და იტალიის ელჩებმაც წარუდგინეს ოსმალეთის მთავრობას პროტესტი დიფერენციალურ ბაჟის შემოღების წინააღმდეგ. რუმინიის ელჩმა გადასცა გარეშე საქმეთა მინისტრს ნოტა, რომელშიაც თხოულობს, რომ დიფერენციალური ტარიფის შემოღება გადადებულ იქმნას სამი თვით და დაუყოვნებლივ აღდგენილ იქმნას ძველი პირობები. ელჩმა მიაქცია მინისტრის ყურადღება იმ გარემოებას, რომ საქმე მეტად გამწვავდა და საჭიროა შეცდომის გასწორება.

## 1 ივნისა

**პეტერბურგი.** 29 მაისს პეტერბურგიდან სევასტეპოლში წავიდა დიდი მთავარი კირილე ვლადემირის ძე, რომელიც ახალ ადგილზეა დანიშნული. მისი უმაღლესობა იმსახურებს ჯავშნიან გემზე „როსტისლავზე“ აფიცრად.

**მოსკოვი.** მოსკოვში წყლის მილის გაფუჭებამ აიძულა ზოგიერთი სახლის პატრონები იზრუნონ საკუთარი წყლის მილის გამოყვანაზე.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება დეპეშით პრეტორიიდან, რომ მეტუენი გაემართა მდინარე რენოსტერისაკენ, სადაც დაამარცხა დევეტი და დაიპყრო მისი ბანაკი. მტერი გაიფანტა. მეტუენი და კიტჩენერი გაემართნენ კრონშტადტისაკენ.

**კალიში.** რკინის გზის ინჟინერები შეუდგნენ მუშაობას ვარშავა-კალიშის რკინის გზის გასაკეთებლად.

**ლონდონი.** სობერტსი იუწყება, რომ მეტუენს გუშინდელ ბრძოლაში მოუკლეს ერთი და დაუჭრეს 18. დერბიშერის პოლკიდან 36 მოკლულია და 104 დაჭრილი. ყველა დაჭრილნი იმყოფებიან იომანრის საავადმყოფოში, რომელიც მეტუენმა ხელ-ახლად დაიპყრა. ოფიცლიაური დეპეშა იუწყება, რომ საურთიერთო შორის ჯარი რომელსაც უფროსობს ინგლისის ადმირალი, შეხვდა რკინის გზასთან „დიდი მუშტის“ დიდ რაზმს. ლანფანთან მოხდა ბრძოლა და „დიდი მუშტის“ ბრბო გაიქცა, ბრძოლის ველზე 35 მოკლული დასტოვა. მოწინააღმდეგეთა მხარეს ზარალი არავითარი არ მოსვლია.

კუმასსის გუბერნატორი იტყობინება, რომ კუმასსში ამ ჟამად იმყოფება 700 კაცი მკვიდრთა და ევროპიელთა ჯარის-კაცთა. ყველას ეძლევა საზრდოთ ნახევარი იმ სურსათისა, რაც გადაკვეთილია საზოგადოთ ჯარის-კაცთათვის. ტყვია-წამალი ჯარს შემოაკლდება, თუ ომი დაიწყეს, ჻ თუ დროზე არ მოგვაშველეს საომრო სურსათი, გაძნელდება საქმე. სკერრალესნიდან, ნიგერზეა, გაიგზავნა მაშველად 900 კაცი.

რობერტსი იტყობინება პრეტორიიდან: „პრეტორიასა და იოჰანესბურგში სრული მშვიდობიანობა ჰსუფევს. პრეტორიის დამორჩილების შემდეგ ბოტამ დაიწია იმ პოზიციისაკენ, რომელიც 15 მილის სიშორეზეა მიდდელბურგის გზიდან. მე მიველი ჯარებს ბრძანება თავს დასხმოდნენ ბოტას, და რაკი პირდაპირ იერიშის მიტანა შეუძლებელია, ფრენჩის დივიზიამ მოუარა მარცხენა მხრიდან, გამილტონის ჯარმა—მარჯვენიდან, მაგრამ ბურებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. ბინდისას ორმა ბატალიონმა გამილტონის ჯარისამ დაიკავა ისეთი პოზიცია, საიდანაც ადვილია მტრის პოზიციის აღება. მემარცხენეთ ებრძანათ დაბანაკდნენ დაჭერილ ადგილებზე. პოლკერუს დივიზია გამოვიდა შუაგულ ჯარიდან გამილტონის მისაშველებლად. შეიტყეს რა ეს, ორანჟეს ბურებმა ისარგებლეს ინგლისელების მდ. ვაალზე გადასვლით, რათა შეეკრათ ჩვენთვის გზები და ამით დავეშორებინეთ დანარჩენ ჯარებიდან. მე გავგზავნე კიტჩენერი თავისუფალი ჯარით და ვუბრძანე გეილბრონის ახლო სამხრეთისაკენ გაარღვიოს წრე და შეუერთდეს მეტუენს. შემდეგ მე ვუბრძანე მეტუენს დიდის სისწრაფით მოვიდეს რკინის გზის უმთავრეს ლიანდაგთან. მეტუენი და კიტჩენერი შეხვდნენ სადგურ ფედერფორტში და მეორე დღესვე მივიდნენ მდინარე რენოსტენთან, სადაც მეტუენმა სრულიად დაამარცხა დევეტი. 30 მაისს მეტუენი და კიტჩენერი გაემართნენ კრონშტადტისაკენ.“ რობერტსი იწერება შემდეგ, რომ „მისი დიდებულების მმართველობამ არ უნდა იფიქროს, რომ ლაშქარი სამხრეთ აფრიკაში რაიმე განსაცდელშია. მტერმა, მართალია, მცირეოდენად გაიმარჯვა ეს გამარჯვება სამწუხარო, მაგრამ მალე ყველა შეცდომილება გასწორდება. რკინის-გზის შეკეთება მოინდომებს ცოტაოდენ დროს. მე ახლა შემიძლია დიდი ძალა ვიყოლიო პრტორიისა ჻ რენოსტორის შუა. მეტუენი წავა რა წინ, დაიცავს ამ წრეს. გენტერი 30 მაისს მივიდა პოტჩევსტრომში და შემდეგ წავა იოჰანესბურგში. მე მოველაპარაკე ბულლერს, რომელიც, ეჭვს გარეშეა, მალე აგრძნობინებს ბრძოლის ველზე მისი ჯარის იქ ყოფნას.

29 მაისს მცირე იყო დანაკლისი. მოკლულთა შორის იმყოფება გრაფი ერლი. კრონშტადტში სრული მშვიდობიანობაა.“

**ნიუ იორკი.** სამხედრო გემი „იორკტონი“ წავიდა შანჰაიდან ჩი-ფუში. ჩი-ფუში მყოფი ამერიკის კონსული იუწყება, რომ „დიდი მუშტის“ ბრბომ ჩი-ფუში ჩაიდინეს გუშინ უწესოება.

**ტუნისი.** ბეგმა, მიიღო რა ადმირალი ბირილდევი, სხვათა შორის უთხრა: „ბედნიერი ვარ დიდებული სახელმწიფოს წარმომადგენელის მობრძანებით, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ვიცი მეგობრული გრძნობები აკავშირებს რუსეთს და საფრანგეთს“.

დრ. რედ. **ალ. ჭუღნია**

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | . 1 | გ. 10 | კ. |
| სუკი | . » | —15 | კ. |
| » ცხვრისა | . » | —8½ | კ. |
| » ღორისა | . 1 | — 8 | კ. |
| » კამეჩისა | » » | — 8 | კ. |
| » ღორის ზარგალი სალორეთი | . 1 | » —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს ლის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—ლამლა).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 გ. | 5 | კ. |
| » » | II | » » | 3½ | « |
| » » | III | » » | 3 | » |
| ივავე თონისა | I | » » | 5 | » |
| » » | II | » » | 4 | » |
| » » | III | » » | 3½ | » |
| ლავაში ჯგ. მამ. | I | » » | 6 | » |
| » » | II | » » | 4 | » |

---

### ტფილისის ბაზრები:

| გაიყიდა მეიდნებზე: | კოკზაღზე, | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. | ფუთი. | მ. კ. | მ. | კ., |
| | 1 | 1 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 15 | — | |
| ქერი . . . . . | 1 | 1 1 | —5 | — |
| სიმინდი . . . . | 1 | — 80 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — 60 | — | — |
| კარტოფილი. . . | 1 | — 60 | — | — |
| ხახვი . . . . . | 1 | — 50 | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — 30 | — | — |
| ბზე. . . . . . | 1 | — 28 | — | — |

შუშა რეხილისა 1 სრული საყ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

---

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 | მ. 25 კ. | № 4—7 | » 25 » |
| № 1—8 | » 50 » | № 5—7 | » — » |
| № 2—8 | » — » | № 6—6 | » 75 » |
| № 3—7 | » 50 » | № 7—6 | » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ფშხვნილი „ 4 „ 80 „
მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10%. შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

---

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**ჩუღურისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

---

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

მატარებელი № 4 ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი** № 74/75 ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დილით.

**საფოსტო მატარებელი** № 76/77 ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი** № 5 ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი** № 6 ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

**მატარებელი** № 8 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მიდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

საავარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

საავარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

საავარაკო მატარებელი № 18 გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 57 შორაპნიდან ჭიათურაში გადის ღამის 2 ს. 20 წ.. ჭიათურაში მიდის 5 ს. 12 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 58 ჭიათურიდან შორაპანში გადის დილის 9 ს. 48 წ.; შორაპანში მიდის 12 ს. 40 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 59 შორაპნიდან გადის დღისით 4 ს.; ჭიათურაში მიდის საღ. 6 ს. 52 წ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 60 ჭიათურიდან შორაპანში გადის 10 ს. 10 წ. საღ.; შორაპანში ჩადის ღამ. 1 ს.


# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,**

რომ ამა წლის 5 ივნისს, შუადღის 12 საათზე, მის თანადასწრებით დანიშნულია ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით შემოსავალი ქალაქის ხასწორისა, რომელიც იმყოფება ქალაქის მე-9 ნაწილში ნიკოლოზის ქუჩაზე.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან განიხილოს პირობები გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. ნ. 3—3

**ისტორიული ნარკვევი**

ანუ

**ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის**

შედგენილი

**ალექსანდრე ჭყონიასაგან**

მოწონებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის

ფასი 1 მ. 50 კაპ.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

დაიბეჭდა და ისყიდება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი საყმაწვილო სურათებიანი წიგნი **ანდერსენისა:**

# დედა

თარგმნილი თ. სახოკიას-მიერ-გამოცემა **სახინო თურქიასი**

ფასი 8 კაპ.

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლადა სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დაეკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაზასისა | «—10 |
| ზნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (ფსევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | |
| I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის გუწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო ბოტისა | «—20 |
| აივენგო ვალტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| სამზარეულო ქართული და ევროპიული საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. მეტრაშვილისა | 1—50 |
| რამ მისიგე | 1—50 |
| სიბრძნე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილით | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლუციისა**

| | |
|---|---|
| ნაწილი I საერო კრება | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი | 1 მ. 20 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| პრეტენდენტები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიეისი | 30 „ |
| იუდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯაკომეტისა | 30 „ |

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება

გამომც. გ. გუნია.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Іюня 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩ. № 27.